

სულიერი, მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების სახეცვლა XXI საუკუნის კულტურაში

მაია ლევანიძე

საკვანძო სიტყვები: კინო, სამომხმარებლო საზოგადოება, სულიერი კრიზისი, პოსტმოდერნიზმი, მორალი

XXI საუკუნე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით დაიწყო, რომელმაც ამერიკის, როგორც ზესახელმწიფოს მითი დაანგრია. ამ ფაქტს მოჰყვა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, ავღანეთის, ერაყის ომები, სამოქალაქო ომი სირიაში, განახლებული კონფლიქტები კავკასიაში, რევოლუციური მოვლენები პოსტსაბჭოთა სივრცეში და ა.შ. დროში გაწელილ საომარ მოქმედებებს, აქტიურ დესტრუქციულ ცვლილებებს, მუდმივად ნეგატიურ გარემოში არსებობას 2020 წელს დაემატა ახალი ვირუსი, რომელსაც მსოფლიოში კოლოსალური რაოდენობის მსხვერპლი მოჰყვა. უხილავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანებს გაუჩნდა ფიზიკური განადგურების შიში, დაუცველობის სინდრომი. გაჩნდა ამ გრძნობით გაერთიანებული მიკროსამყაროებში ჩაკეტილი საზოგადოება. ეს პროცესები ერთგვარად „დაავიჯებინა“ რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელმაც სამყარო ორ ნაწილად გაყო: რუსეთი და დანარჩენი მსოფლიო.

XXI საუკუნის კულტურა რეალობაში არსებულ პროცესებს სხვადასხვა ფორმით ასახავს, თუმცა ამ სხვადასხვაობაში შესაძლებელია ერთი გამაერთიანებელი „ნიშნის“ დანახვა. ატმოსფერო, განწყობა, გარემო, რომელიც სულ უფრო მწვავედ აყენებს ადამიანის შინაგანი, სულიერი კრიზისის თუ გრძნობათა, ტრადიციული ღირებულებების რადიკალური სახეცვლის საკითხს. როგორი გახდა 21-ე საუკუნის კატაკლიზმების ფონზე განვითარებული თანამედროვე საზოგადოება, ადამიანი, რა მორალურ-ზნეობრივი კატეგორიებით, ურთიერთობებით, გრძნობათა სპექტრით გამოირჩევა ის? მიხეილ ჰანეკეს „სიყვარული“ (2012), ანდრეი ზვაგინცვის „უსიყვარულო“ (2017) და ჯონ პო ბონის „პარაზიტები“ (2019), ვფიქრობ, სხვადასხვა კულტურათა წიაღში იქა პასუხი გავცე ამ კითხვას.

XXI საუკუნე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით დაიწყო, რომელმაც ამერიკის, როგორც ზესახელმწიფოს, მითი დაანგრია. სლავო ჟიჟეკი ნაშრომში „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რეალობის უდაბნოში“, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, წერს, რომ წლებია, ამერიკის სამომხმარებლო საზოგადოება რეკლამებით შექმნილ ილუზორულ „მეტალისებრ სფეროში“ ცხოვრობდა, სწამდა საკუთარი ქვეყნის დიდების, უძლეველობისა და ხელშეუხებლობის, თუმცა ამ ტერაქტით ეს ილუზია გაქრა. აღმოჩნდა, რომ „მეტალისებრი სფეროს“ მიღმა არსებობს რეალობის უდაბნო, უსახური, ხრიოკი, „სასიცოცხლო ენერჯისგან“ დაცლი-

ლი. სამომხმარებლო საზოგადოებამ, ახალი მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმების ჩამოყალიბების პროცესში, ადამიანური სულიერი სამყაროს დეგრადირება, სახეცვლა მოახდინა.

XXI საუკუნის კულტურა უკვე აქტიურად საუბრობს სამომხმარებლო საზოგადოების მორალური კრიტერიუმების რღვევისა და გაუცხოების სრულიად ახალი შრეების შესახებ. საუბრობს იმ კრიზისზე, რომელმაც შეცვალა მარადიული ფასეულობების ფორმა და შინაარსი.

11 სექტემბრის ტერაქტს მოჰყვა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, ავღანეთის, ერაყის ომები, სამოქალაქო ომი სი-

რიაში, განახლებული კონფლიქტები კავკასიაში, რევოლუციური მოვლენები პოსტსაბჭოთა სივრცეში და ა.შ დროში გაწეული საომარ მოქმედებებს, აქტიურ დესტრუქციულ ცვლილებებს, მუდმივად ნეგატიურ გარემოში არსებობას 2020 წელს დაემატა ახალი ვირუსი, რომელსაც მსოფლიოში კოლოსალური რაოდენობის მსხვერპლი გამოიწვია.

უხილავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანებს გაუჩნდა ფიზიკური განადგურების შიში, დაუცველობის სინდრომი. გაჩნდა ამ გრძნობით გაერთიანებული მიკროსამყაროებში ჩაკეტილი საზოგადოება. ეს პროცესები ერთგვარად „დაავიჯინა“ რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელმაც სამყარო ორ ნაწილად გააჩყო: რუსეთი და დანარჩენი მსოფლიო.

დესტრუქციაში, იზოლაციაში გატარებულმა წლებმა ადამიანებში გააჩინა ცვლილებების სურვილი, მოთხოვნილება, წარსული დროის, დაკარგული ღირებულებების ნოსტალგია. პანდემიის პერიოდში გაჩნდა ერთგვარი მესიჯი – „პანდემია შეცვლის სამყაროს“, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა, სამყარო ვერ შეიცვალა.

XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები შეიძლება გავიხსოვოთ XX საუკუნეში, განსაკუთრებით, მის მეორე ნახევარში დაწყებული ცვლილებების ერთგვარ შედეგად.

ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დასაწყისში მარშალ მაკლუენი იყენებს ტერმინს „გლობალური სოფელი“, რითაც ბუსტად აღწერს თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენით, ინდივიდის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. ახალი კომუნიკაციის წარმოქმნამ ერთგვარად „დააპატარავა“, შეკუმშა სამყარო, თუმცა ინფორმაციულად უფრო მრავალფეროვანი გახდა. ჭარბ ინფორმაციულ ნაკადში ადამიანს შეუსუსტდა მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, კრიტიკული აზროვნების უნარი, ვინაიდან აღქმა ფრაგმენტული გახდა.

მედიის გვერდით გაჩნდა კომუნიკაციის ახალი ფორმა – კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სახით. ამ სივრცეში დაიკარგა ფიზიკური ურთიერთობის აუცილებლობა, დაირღვა დროისა და სივრცის ჩვეული აღქმა. შემჭიდროებულმა, შეკუმშულმა სივრცემ დაარღვია ინდივიდის პირადი სივრ-

ცეები. ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობებით, ადამიანები სულ უფრო აქტიურად შეიჭრნენ სხვათა ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტსივრცემ ადამიანს წაართვა დრო აზროვნებისთვის. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო აქტუალური გახდა კოლექტიური, მასობრივი აზროვნების ფორმები.

მარშალ მაკლუენი ნაშრომში „გუტენბერგის რევოლუცია“ აღნიშნავს, რომ „გლობალური სოფლის“ მომხიბვლელია მის უნარშია, გაამარტივოს კულტურათა დიალოგი, მისცეს ინდივიდს ტრადიციების, ღირებულებების გაზიარების შესაძლებლობები.¹ მარშალ მაკლუენის თეორიული მოსაზრებების გვერდით ჩნდება ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ სოციუმში, ინდივიდში ტექნიკური პროგრესით გამოწვეულ ცვლილებებს, იგივე ჰერბერტ მარკუზე აღნიშნავს, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანი კარგავს რევოლუციურ სულისკვეთებას და ის უკვე აღარაა პროლეტარიატი, არამედ იქცევა ერთგანზომილებიან არსებად, რომელსაც აღარ აქვს რევოლუციურ-კრიტიკული განწყობები. თანამედროვე ადამიანი არის გაუცხოებული ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს პოლიტიკური, იდეოლოგიური ორიენტირები. ინდუსტრიულ ადამიანს მართავს „სამომხმარებლო“ სურვილები, ვნებები, მოთხოვნილებები და ა.შ ასეთი ადამიანები ქმნიან ერთგვაროვან სოციუმს, კულტურას, მეცნიერებას, ფილოსოფიას. ასეთ კულტურას კი უკვე აღარ შეუძლია წარმოქმნას ახალი ღირებულებები.

ერის ფრომი, გაუცხოების პრობლემის, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების კვლევისას, მწვავედ აყენებს ადამიანის საკუთარ მესთან გაუცხოების საკითხს. XX საუკუნის მიწურულს ყალიბდება ადამიანთა მასა, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია სოციუმის მოთხოვნებსა და ნორმებზე. მესა და სოციუმის მოთხოვნილებებს შორის კონფლიქტი კი გაუცხოებასა და აგრესიას წარმოქმნის.

პოსტმოდერნისტული ეპოქა ბოლო აკორდია, რომელიც ყველაფერს ეჭვქვეშ აყენებს. „ახალი ბარბაროსები“ პირადი მორალით, ძალადობის ტირაჟირებით, საზღვრების რღვევით, ავტორის სიკვდილით ქმნიან ეკლექტურ, დესტრუქციულ გარემოს, გამო-

1 McLuhan, Understanding, 2015.

ხატვის დამანგრეველ ფორმებს.

ფრანგი ფილოსოფოსი, კულტუროლოგი ჟან ბოდრიარი წერს: „სამყარო განადგურებულია, ადამიანებმა მოკლეს სამყარო. ირგვლივ მხოლოდ სიმულაკრებია, სამყარო ერთი დიდი სიცრუეა, სამყარო აღარ არსებობს, ამის შემდეგ ის ასე გააგრძელებს არსებობას“.² სიმულაკრუმების სამყაროში იცვლება ადამიანის აზროვნება, სული. ბოდრიარი მიიჩნევს, რომ ფორმა დომინირებს შინაარსზე, ხოლო სიმულაცია – რეალობაზე. ამ ზედაპირული მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ თანამედროვე სამომხმარებლო საზოგადოება ორიენტირებულია მატერიაზე, საგანზე. ადამიანის ნებისმიერი ქმედება პასუხობს კითხვას – რას მივიღებ აქედან? რაში გამოვიყენებ მას? სწორედ ასეთი ტიპის საზოგადოება ქმნის საბოლოოდ XXI საუკუნის სულიერად ცარიელ, დესტრუქციულ, გაუცხოებულ საზოგადოებას.

XXI საუკუნე, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუძებნია საკუთარი ინდივიდუალური სახე და ხელოვნებაში გამოხატვის ფორმა, გარდამავალ პერიოდში ცდილობს ისაუბროს იმ შედეგებზე, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ ყოფაში გამოვლინდნენ. თანამედროვე კინოში სულ უფრო ხშირად გვხვდება სოციუმის კრიტიკა პიროვნებასთან მიმართებაში.

როგორია თანამედროვე საზოგადოება, როგორი გარემო შექმნა სამომხმარებლო საზოგადოებამ პოსტმოდერნისტული ეპოქის შემდგომ?

2012 წელს ეკრანებზე გამოდის მიხეილ ჰანეკეს ფილმი „სიყვარული“, ფილმი ალცჰეიმერით დაავადებული ქალისა და მისი მეუღლის ურთიერთობის შესახებ. სწორედ ეს დაავადება ხდება თანამედროვე ადამიანის მდგომარეობის, განწყობის, საზოგადოების სულიერი, მორალური დეგრადირების სიმბოლო.

ალცჰეიმერით დაავადებული ქალი, რომელიც დღითი დღე კარგავს წარსულს, უცხოვდება საკუთარ მესთან, რეალობასთან, თავისდაუნებურად, სიცარიელეში ხვდება, „სარკის უკანა მხარეს“ (ბოდრიარი). მამაკაცი ცდილობს იბრუნოს მასზე, თუმცა მოდის დრო, როდესაც ცოლის მოკვლის გადაწყვეტილებას იღებს.

რა არის ეს? გამოსავალი? ჰუმანური აქტი თუ

მკვლელობა? მორალური დილემის წინაშე მდგომი, ჰანეკეს გმირი მკვლელობას ირჩევს, როგორც თანამედროვე გარემოსგან გათავისუფლების ერთადერთ საშუალებას. ერთი მხრივ, ცდილობს შეინარჩუნოს ქალის სახე წარსულში ანუ საკუთარ მეხსიერებაში, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას ის საზოგადოების აგრესიისგან (მაგალითად, მომვლელი ქალის ეპიზოდი). სამომხმარებლო საზოგადოებაში აღარ არსებობს ემპათია, ემოცია, სიყვარული, თანამედროვე სამყაროში მისი უმაღლესი გამოვლინება – ბრუნვაა.

ჟან-ლუი ტრენტინიანის გმირი მეუღლის ავადმყოფობის პერიოდში ხვდება, რომ სამყარო ისევე იცვლება, ცარიელდება წარსულისგან, ემოციებისგან, ღირებულებებისა და მორალისგან, როგორც მისი ბრუნვის ობიექტი. სწორედ ეს გრძნობა აიძულებს, მოკლას.

რა არის მორალი, სადაა ზღვარი? რამდენად მორალურია, ადამიანი გასწირო „სარკის უკანა მხარეში“ არსებობისთვის, საზოგადოების მხრიდან დაუმსახურებელი აგრესიისა და შეურაცხყოფისთვის?!

თუ ჰანეკე სვამს კითხვებს, აიძულებს მაყურებელს იფიქროს, თუ რა ელის კაცობრიობას, რომელიც საღ აზრს მოკლებული, ყოველდღიურ რუტინაში რაფინირებულად, ჩუმად ავლენს აგრესიას, ანდრეი ზვიაგინცევი ფილმში „უსიყვარულობა“ აფიქსირებს ეგზისტენციალურ გარემოს, ამხელს გაუცხოებულ, დათითოკაცებულ, ფუნდამენტური ღირებულებებისგან დაცლილ რუსულ საზოგადოებას, ოჯახს, რომელშიც რესპექტაბელურ გარემოში სიყვარულისთვის ადგილი აღარ არსებობს.

მშობლების ფორმალურ ურთიერთობებს, ღალატს, გულგრილობას, ინერტულობას ზვიაგინცევის პატარა გმირი ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე მიჰყავს. მისი არსებობა ამ სამყაროში კარგავს აზრს, ვინაიდან, ზედმეტია მათთვის, ვისაც ყველაზე მეტად უნდა უყვარდეს. რეჟისორი აჩვენებს თანამედროვე რუსეთს, რომელიც ანადგურებს საკუთარ მომავალს, თითქოს აღარც კი სჭირდება ის.

ანდრეი ზვიაგინცევისგან განსხვავებით, ნადინ ლაბაკის „კაპერნაუმის“ გმირს სურს სიცოცხლე, მაგრამ არა ამ საზოგადოებაში. ის იბრძვის გადარჩენისთვის და ამავე დროს, ადანაშაულებს მშობ-

2 Бодрийяр, Общество, 2019. გვ. 103.

ლებს იმაში, რომ არ შეუძლიათ შეუქმნან მომავალი; იმაში, რომ არ შეუძლიათ იზრუნონ და უყვარდეთ. „სამომხმარებლო საზოგადოებაში“ ის ხდება „საგანი“, რომელიც შეიძლება გადაადგოდ, გაყიდო, მოიშორო, გამოიყენო. ის ცდილობს დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ ახლობლებიც, მასავით მართო დარჩენილი ბავშვები და მომავალ-წარმეული პატარები. ლაბაკის გმირი თავის ფინალურ სიტყვაში არამხოლოდ ადანაშაულებს ოჯახის წევრებს, არამედ საზოგადოებას დაფიქრების, გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს.

2019 წელს კანის ფესტივალზე ნაჩვენები, ბონგ ჯონ-ჰოს ფილმი „პარაზიტი“ სხვადასხვა ფესტივალსა და კინოფორუმზე კინოკრიტიკოსთა ინტერესის სფეროში ხვდება. ისტორია დაბალი ფენის ადამიანებზე, რომლებიც დესტრუქციულ საზოგადოებაში თავის გა-

დარჩენას ცდილობენ. სამხრეთ კორეის სოციალური გარემო ყველაზე მეტად ასახავს თანამედროვე ადამიანის მორალური კვდომის, დეგრადირების სურათს. რაფინირებული, არისტოკრატიული ფენის შეფარული აგრესია ის მიზეზია, რომელიც ფილმის მთავარ გმირს მკვლელად აქცევს. იმისთვის რომ იარსებონ, მოქმედი გმირები მიდიან ტყუილზე, არ ერიდებიან ძალადობას. მაღალი კლასი ვერ იტანს სიღარიბის „სუნს“, თუმცა აქტიურად ეწევა ღარიბთა ფენის ექსპლუატაციას.

ამგვარად, XXI საუკუნის კულტურა აქტიურად აფიქსირებს საზოგადოების, ადამიანის სულიერი სტრუქტურის სახეცვლას, ხელოვანი უფრო მეტად ცდილობს თავისი ხელოვნებით აქტიურად დააფიქსიროს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციები და დააფიქროს მაცურებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Бодрийяр Ж., Общество потребления. АСТ. Москва, 2019.
- McLuhan M., Understanding Media The extensions of men. London and new York <https://designopendata.files.wordpress.com/2014/05/understanding-media-mcluhan.pdf>
- ფრომი ე., ადამიანის სული. აქტი. თბილისი, 2020
- Жижек С., Добро пожаловать в пустыню реальности. „Прагматика культуры“, Москва, 2002.

CHANGING SPIRITUAL AND MORAL VALUES IN THE CULTURE OF THE 21ST CENTURY

Maia Levanidze

Keywords: Cinema, consumer society, spiritual crisis, postmodernism, morality

The 21st century began with the terrorist attack of September 11th, 2001 that shattered the myth of America as a superpower. This fact was followed by the fight against world terrorism, wars in Afghanistan, and Iraq, the civil war in Syria, renewed conflicts in the Caucasus region, revolutionary events in the post-Soviet space, and a colossal number of victims in the world. Prolonged hostilities, active destructive changes, and existence in a constantly negative environment in 2020 were followed by a new virus that killed a colossal number of people worldwide. In the fight against the invisible enemy, people developed a fear of physical destruction, a syndrome of insecurity. A society emerged locked in microcosms united by this feeling. These processes were capped off by the Russia-Ukraine war, which divided the world into two parts: Russia and the rest of the world.

The culture of the 21st century reflects the processes of reality in different ways, but in this difference, it is possible to see one unifying “sign”. Atmosphere, mood, and environment, raise the issue of a radical change in a person’s inner, spiritual crisis or feelings and traditional values. What has modern society and people become like in the face of cataclysms in the 21st century? What moral and ethical categories, relationships, and range of feelings does it stand for? Mikheil Haneke’s “Love” (2012) Andrei Zvagintsev’s “Loveless” (2017) and John Poe Bonn’s “Parasites” (2019) allow us to answer this question by analyzing the works created in the entrails of different cultures

The 21st century began with the terrorist attack of September 11, 2001, which destroyed the myth of America as a superpower. Slavo Žižek in his work: “Welcome to the desert of reality” wrote about this event that for years the American consumer society lived in an illusory “metallic sphere” created by advertisements, they believed in the glory, invincibility, and inviolability of their country, but this terrorist attack destroyed the illusion. It turned out that beyond this “metallic sphere” there is a desert of reality, faceless, barren, drained of “vital energy”. In the process of forming new moral and ethical criteria, consumer society has degraded and changed the human spiritual world. The culture of the 21st century is already actively talking about breaking the moral criteria of the consumer society and completely new layers of alienation. It talks about the crisis that changed the form and content of eternal values.

The terrorist attack of September 11 was followed by the start of the fight against world terrorism, wars in Afghanistan, and Iraq, civil war in Syria, renewed conflicts in the Caucasus, revolutionary events in the post-Soviet

space, etc. A virus that claimed a colossal number of victims worldwide. In the fight against an invisible enemy, people became afraid of physical destruction, the syndrome of insecurity. There was a society locked in micro worlds united by this feeling. These processes were somehow “crowned” by the Russia-Ukraine war, which divided the world into two parts: Russia and the rest of the world. The years spent in destitution and isolation created a desire in people, a need for changes, nostalgia, and lost values. During the pandemic, a kind of message “pandemic will change the world” emerged, but the expectations were not fulfilled, and the world could not change.

The developments at the beginning of the 21st century can be understood as a kind of result of the changes that started in the 20th century, especially in its second half. As early as the early 1960s, Marshall McLuhan used the term “Global Village” which accurately describes the changes in the life of an individual under the influence of modern technologies. The emergence of new communication in a way has “made small”, and shrunk the world while

making it more informationally diverse. In the excessive flow of information, a person's capacity for cause-and-effect connections of events, and critical thinking has weakened, since perception has become fragmented.

With the media, a new form of communication has emerged in the form of computer technology and the Internet. In this form of communication, the need for physical contact has already been lost, and the usual perception of time and space has been broken. The tightened, compressed space disrupted the personal spaces of the individual. With the possibilities of new technologies, people have become increasingly active in the lives of others. It can be said that the Internet has taken away time for thinking. Forms of collective, mass thinking have become increasingly relevant in the modern world.

Marshall McLuhan notes in his work "Gutenberg's Galaxy" that the charm of the "global village" lies in its ability to facilitate the dialogue of cultures, and to give individuals the opportunity to share traditions and values. Next to the theoretical opinions of Marshall McLuhan, the works of representatives of the Frankfurt school appear, which investigate the changes in society and the individuals, that are caused by technical progress. Same Herbert Marcuse notes that in industrial society, a human loses his revolutionary spirit and he is no longer a proletariat but turns into a one-dimensional being who no longer has a revolutionary and critical mood. A modern person is an alienated person who has lost political and ideological orientations. Industrial human is governed by "consumer" desires, passions, needs, etc. Such people create a homogeneous society, culture, science, and philosophy. Such a culture can no longer generate new values. Erich Fromm investigates the socio-psychological factors of the problem of alienation, which acutely raises the moment of alienation of a person from himself. At the end of the 20th century, a human mass is formed, which is completely dependent on the demands and norms of society. The conflict between the needs of the self and society produces alienation and aggression.

The post-modern era is the last chord that puts everything into doubt. "New barbarians" create an eclectic, destructive environment and forms of expression with personal morality, circulation of violence, violation of boundaries, and death of the author. French philosopher and expert of culturology Jean Baudrillard writes: "The

world is destroyed, people have killed the world. There are only simulations around, the world is one big lie, the world no longer exists, and after that, it will continue to exist that way." In the world of simulacrum, human thinking and soul have changed. Baudrillard believes that form dominates content, and simulation dominates reality. Even from this superficial review, it can be seen that modern consumer society is focused on matter, and object. In any action, a person answers the question – what will I get from this? What will I use it for? It is this type of society that ultimately creates the spiritually empty, destructive, alienated society of the 21st century.

The 21st century, which has not yet found its face and form of expression in art, is trying to talk about the results that were manifested in the daily life of modern society. Criticism of society concerning personality is increasingly found in modern cinema. What is modern society like, and how did the internal consumer society create the environment after the postmodern era?

In 2012, was released Mikhail Haneke's film "Love", a film about the relationship between a woman suffering from Alzheimer's and her husband. This disease becomes a symbol of the modern human condition, mood, and spiritual degradation of society. A woman suffering from Alzheimer's, who is losing her past day by day, becomes alienated from herself, and reality, and involuntarily passes through the void, "behind the mirror" (Baudrillard). The man tries to take care of her, but there comes a point when he decides to kill her. What is this? solution? The humane act or murder? Faced with a moral dilemma, Haneke's hero chooses murder as the only way to escape from the modern environment. On the one hand, he tries to preserve the face of a woman in the past, in his memory, and on the other hand, to protect her from the aggression of society. During his wife's illness, Jean Trentignan's hero realizes that the world is emptying, emptying itself of the past, emotions, values, and morals, just like the object of his care. It is this feeling that drives him to kill. What is morality, and where is the limit? How moral is it to sacrifice a person for existence "in the back of the mirror" for undeserved aggression and insults from society?!

If Haneke asks questions and forces the viewer to think about what awaits humanity, which is deprived of common sense and shows aggression in a refined manner in its daily routine, Andrei Zvagintsev's film

“Lovelessness” captures the existential environment. This reveals the alienated, individualized, deprived fundamental values of Russian society, a family where love in a respectable environment no longer exists. In the family, the formal relations of parents, betrayal, indifference, and inertness lead Zvagintsev’s little hero to a logical decision. His existence in this world loses its meaning because he is unnecessary to those who should love him the most. Zvagintsev shows modern Russia, which destroys its future as if it doesn’t even need it anymore.

Unlike the hero of Andrei Zvagintsev, the hero of “Capernaum” by Nadine Labaki wants to live, but not in this society. He fights for survival and at the same time blames his parents for not being able to create his future, for not being able to love and take care of him. In the “consumer society,” he becomes an “object” – which can be thrown away, sold, disposed of, or used. He tries to protect not only himself but also children left alone and children whose future was taken away, like his. In his final speech, the hero of Labaki not only blames the

family members but also calls on society to think and wake up.

Screened at the Cannes Film Festival in 2019, John Po Bon’s film “Parasites” was in the field of interest of film critics and film experts at various festivals and film forums. The story of low-class people trying to survive in the harsh social environment of South Korea in the best way shows the picture of the moral death and degradation of modern humans. A refined, aristocratic environment hides greater aggression than ordinary, semi-deprived, impoverished people. To live, they choose to lie, and do not shy away from violence, poverty pushes them to cruel actions. High society benefits from their work but cannot adapt to their smell, the “smell” of poverty. The secret hatred of the upper class makes the main character of the film a murderer.

In this way, the culture of the 21st century actively records the change in society and the spiritual structure of a person. The artist tries more to actively record his citizenship positions with his art and make the audience think

REFERENCES:

- Бодрийяр Ж., Общество потребления. АСТ. Москва, 2019.
- McLuhan M., Understanding Media The extensions of men. London and new York <https://designopendata.files.wordpress.com/2014/05/understanding-media-mcluhan.pdf>
- ფრომი ე. ადამიანის სული. აქტი. თბილისი, 2020
- Жижек С., Добро пожаловать в пустыню реальности. „Прагматика культуры“, Москва, 2002.




1-2 კადრი ფილმიდან „პარაზიტები“ რეჟისორი: ჯონ პო ბონ, 2019.
FOOTAGE FROM THE FILM «PARASITES» DIRECTED BY JOHN POE BON. 2019.



3-4 კადრი ფილმიდან „სიყვარული“ რეჟისორი: მიხაელ ჰანეკე, 2012.
FOOTAGE FROM THE FILM «LOVE» DIRECTED BY MICHAEL HANEKE, 2012.



5-6 კადრი ფილმიდან „კაპერნაუმი“ რეჟისორი ნადინ ლაბაკი, 2018.
FOOTAGE FROM THE FILM «CAPERNAUM» DIRECTED BY NADINE LABAKI 2018.



7-8 კადრი ფილმიდან „უსიყვარულოდ“ ანდრეი ზვადინტსვი 2017.
FOOTAGE FROM THE FILM „LOVELESS“ DIRECTOR ANDREI ZVADINTSEV 2017.